



UDC უნივერსალური
კონსორციუმი
CONSORTIUM

**უნივერსალური
ათნილალი
კლასიფიკაცია**

შემოკლებული ცხრილები


F 9.618
4

უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია (უაკ - UDC)

შემოკლებული ცხრილები
ქართული გამოცემა

თბილისი

2009



გამოცემაზე მუშაობდნენ:
დ.კაჭარავა
ც.თენიშვილი
თ.ლომჯარია
ი.ღარიბაშვილი
მ.ბართაია
თ.ხახუტაშვილი

სტილისტური რედაქცია:
არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის
ი. ჯიბუტი
მ. ოსაძე

მთ. რედაქტორი: ი. ღარიბაშვილი

მადლობას ვუხდით ყველა კოლეგას შენიშვნებისა და რჩევებისათვის

ISBN 978-9941-0-1339-3

© UDC Consortium
© 2009 საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

14 27.423

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის გამოყენების ზოგადი მეთოდოლოგია.....	5
უაკ აგების სტრუქტურა და პრინციპები.....	6
უაკ-ს შემადგენელი ნაწილები	7
უაკ -ს ძირითადი ცხრილი.....	7
დამხმარე ცხრილები	8
სპეციალური მსაზღვრელები	9
რელიგიის სპეციალური მსაზღვრელები.....	10
ზოგადი მსაზღვრელები.....	11
ზოგადი მსაზღვრელები დეფისით (ცხრილი IK)	13
უაკ საკლასიფიკაციო სქემა.....	14
ძირითადი ცხრილები	14
ზოგადი მსაზღვრელები	65
ცხრილი Ic. ენების სართო მსაზღვრელები.....	65
ცხრილი Id. დოკუმენტის ფორმის სართო მსაზღვრელები.....	70
ცხრილი Ie. ადგილის ზოგადი მსაზღვრელები	74
ცხრილი Ig. დროის ზოგადი მსაზღვრელები.....	80
ცხრილი Ik. პირის ზოგადი მსაზღვრელები.....	82
რელიგიის სპეციალური მსაზღვრელები.....	83
ანბანურ-საგნობრივი საძიებელი	85

უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის გამოყენების ზოგადი მეთოდика

100 წელზე მეტია, რაც არსებობს უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია. ამ ხნის განმავლობაში მან დიდი ცვლილებები განიცადა, არაერთხელ ყოფილა კრიტიკის საგანი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი გავრცელების არე მსოფლიოში ძალიან დიდია.

უაკ-ას წარმოშობა დაკავშირებულია მეღვილე დუის ათწილადი კლასიფიკაციის შექმნასა და განვითარებასთან, რომელსაც დღემდე იყენებს აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკა და ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მასობრივი ბიბლიოთეკები. 1895 წ. ქ. ბრიუსელში მოწვეული იყო I საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული კონფერენცია, სადაც გადაწყდა შექმნილიყო “უნივერსალური ბიბლიოგრაფიული რეპერტუარი” - მსოფლიოში არსებული დარგობრივი ლიტერატურის სრული ბარათული კატალოგი. ამ დიდი ამოცანის შესასრულებლად შეიქმნა საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტი (სბი). “რეპერტუარის” და სბი-ს ორგანიზატორები და ხელმძღვანელები იყვნენ პოლ ოტლე (1868-1944) და ანრი ლაფონტენი (1854-1934 წ.). მათი დამსახურებაა აგრეთვე უაკ-ას შექმნა, რომლის საფუძველს წარმოადგენს მ. დუის ათწილადი კლასიფიკაცია.

ძირითად დამატებად, რითაც ახალი კლასიფიკაცია ხარისხობრივად განსხვავდება მ.დუის სისტემისგან, იყო ზოგადი და სპეციალური მსაზღვრელების (ფასეტების) შემოღება, რომელიც იძლეოდა ახალი ინდექსების შექმნის საშუალებას.

1905 წ. ბრიუსელში ფრანგულ ენაზე გამოვიდა ახალი ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილის პირველი შეჯამებული გამოცემა. ამ ტაბულას ეწოდებოდა “უნივერსალური ბიბლიოგრაფიული რეპერტუარის სახელმძღვანელო” (Manuel du repertoire bibliographique universel).

1933 წ. ფრანგულ ენაზე დამთავრდა ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილის მეორე სრული გამოცემა, რომელსაც ეწოდა “უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია” და შეიძინა დამოუკიდებელი მნიშვნელობა. ტაბულა შეესაბამებოდა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონეს და შევსებული იყო ახალი ცნებებით. ამ სამუშაოს პ.ოტლესა და ა.ლაფონტენტთან ერთად ახორციელებდა ფ. დონკერ დიევსი.

1931 წ. საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის სახელწოდება შეიცვალა დოკუმენტაციის საერთაშორისო ინსტიტუტად, ხოლო 1938 წ. გარდაიქმნა დოკუმენტაციის საერთაშორისო ფედერაციად (დსფ) – (Federation Internationale de Documentation-FID).

ინსტიტუტის კონტროლით გამოდის უაკ-ს სრული, საშუალო, შემოკლებული დარგობრივი გამოცემები.

1991 წლიდან უაკ-ს პრაქტიკული მუშაობისა და განვითარებისათვის შექმნილია დამოუკიდებელი ორგანო - უაკ-ს კონსორციუმი (უაკ Consortium), რომელშიც დოკუმენტაციის საერთაშორისო ფედერაციასთან ერთად შევიდა უაკ-ს ნაციონალური ვერსიების რამდენიმე მსხვილი გამომცემელი. 2000 წელს კონსორციუმში შევიდა რუსეთის მეცნიერებისა და ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტი, რომლის წარმომადგენელი არის კონსორციუმის მმართველი საბჭოს წევრი.

უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია ხასიათდება რამდენიმე ძირითადი თავისებურებით. თვითონ სახელწოდება მეტყველებს ორ მათგანზე - უნივერსალურობა და ათწილადობა. უნდა აღინიშნოს მისი მრავალასპექტიანობაც ინდექსების წარმოქმნის პროცესში, რომლებიც სტანდარტიზაციის ელემენტებს ატარებს.

უაკ უნივერსალურია მოხმარებისას. ინდექსირების საშუალებების სიმრავლისა და ადვილად დაყოფის შედეგად, ის წარმატებით გამოიყენება მრავალფეროვანი ინფორმაციის სისტემატიზაციისა და მოძიებისათვის სხვადასხვა მოცულობისა და მნიშვნელობის ფონდებში.

უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია აგებულია სისტემურ პრინციპზე.

უაკ-ში ერთი და იგივე საგანი გვხვდება სხვადასხვა ადგილას იმ დარგისა და ასპექტის მიხედვით, რომელშიც ის განიხილება. მაგალითად: "ნავთი" გვხვდება სხვადასხვა განყოფილებებში. 547-ში როგორც ორგანული ნივთიერება, 553-ში - როგორც სასარგებლო საბადო, 622 ფეთქებადი ან საწვავი ნივთიერება და ა.შ.

დოკუმენტის შინაარსის მრავალასპექტოვანი ინდექსირება უაკ სტრუქტურის გარდა უზრუნველყოფილია ზოგადი და სპეციალური მსაზღვრელების გამოყენებით, რომლებიც აღნიშნავენ დროს, ადგილს, ენას, პარამეტრებს, პროცესებს მოწყობილობას და სხვა.

უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის უმთავრეს განმასხვავებელ თავისებას წარმოადგენს ძირითადი და დამხმარე ცხრილების განყოფილებების იერარქიული წყობა პრინციპით - ზოგადიდან კონკრეტულამდე, ციფრული ათწილადი კოდის გამოყენებით. ამასთან, ურთიერთკავშირების ძირითად სახეობებს წარმოადგენენ დაქვემდებარება და თანადაქვემდებარება. თანადაქვემდებარების ურთიერთობით დაკავშირებულია კლასები, რომლებიც წარმოადგენენ ძირითადი კლასის ქვეკლასებს..

ყოველი კლასი (ძირითადი დანაყოფი) მოიცავს მეტნაკლებად მონათესავე მეცნიერების ჯგუფს. მაგალითად მე-5 განყოფილება მათემატიკას და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, განყოფილება 6 გამოყენებით მეცნიერებებს; ტექნიკას, სოფლის მეურნეობას, მედიცინას.

შემდგომი დეტალიზაცია მოდის ინდექსის გაგრძელების ანგარიშზე.

უაკ-ს ინდექსი აგებულია ისე, რომ ყოველი შემდგომი ციფრი არ ცვლის წინამდებარე ციფრის მნიშვნელობას, არამედ მხოლოდ აზუსტებს, აღნიშნავს რა უფრო კონკრეტულ ცნებას. მაგალითად: ინდექსი "ქიმიური კოროზიის" აღმნიშვნელი 620.193.4 წარმოიქმნება შემდეგნაირად:

6. გამოყენებითი მეცნიერებები

62. საინჟინრო საქმე. ტექნიკა ზოგადად

620. მასალათა გამოცდა. საქონელმცოდნეობა

620.1 მასალათა გამოცდა. მასალების დეფექტები. მასალის დაცვა

620.19. მასალათა დეფექტები და მათი გამოყენება, კოროზია

620.193.4. ქიმიური კოროზია. სხვადასხვა აგრესიული ნივთიერებების ზემოქმედება.

როგორც ითქვა, იერარქიის მიხედვით ზოგადიდან კონკრეტულამდე აგებულია არამარტო ძირითადი ცხრილი, არამედ ზოგადი და სპეციალური მსაზღვრელების დამატებითი ცხრილებიც. მაგ: სპეციალური მსაზღვრელები:

62-5 მანქანებისა და პროცესების რეგულირება და მართვა

62-55 რეგულატორები

62-555 რეგულატორები, მოყვანილი მოქმედებაში ფიზიკური პროცესების მეშვეობით.

62-555.5 გამოსხივების მეშვეობით
62-555.56 სელენური ფოტოელემენტებით

უაკ აგებულია სისტემურ პრინციპზე. თუ საგნობრივ კლასიფიკაციაში ამა თუ იმ საგანზე ყველა მონაცემი თავმოყრილია ერთ ადგილას, მიუხედავად დარგებისა, რომლებსაც ეხება ეს ცნობები, უაკ-ში საგანი შეიძლება შეგვხვდეს საკლასიფიკაციო ცხრილის რამდენიმე განყოფილებაში, დამოკიდებული ასპექტზე და დარგზე, რომელშიც ეს საგანი განიხილება. მაგ: "ცარცი".

1. ის შეგვხვდება სასარგებლო წიაღისეულში (ინდექსით 553.555)
2. სამთო საქმე (მოპოვება 622.355.5)
3. სამშენებლო გრუნტების სახით (624.131.253)
4. სამშენებლო მასალების სახით (საამშენებლო მასალები. 691.215.5)

უაკ-ს შემადგენელი ნაწილები

უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილი იყოფა მთავარ და დამხმარე ნაწილებად. გარდა ამისა უაკ-ში მესამე ნაწილად ჩართულია ანბანური და საგნობრივი საძიებლები.

ცხრილის დაყოფა მთავარ და დამხმარე ნაწილებად, დაფუძნებულია მათში ასახულ ცნებებზე. ძირითად ცხრილში ასახულია ცნებები, რომლებიც სპეციფიკურია მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების განსაზღვრული დარგებისთვის, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი თავისებურებებით. დამხმარე ცხრილებში შეტანილი ცნებები ძირითად ცნებასთან ერთად ასახავენ მათ შინაარსს ან ფორმას. ამასთან, ზოგადი მსაზღვრელები შეიცავენ ცნებებს, რომლებიც გამოიყენება ყველა განყოფილებაში, ხოლო სპეციალური მსაზღვრელები ერთ ან რამდენიმე განყოფილებაში, რომლებიც შინაარსობრივად ახლოა ერთმანეთთან.

უაკ -ს ძირითადი ცხრილი

უაკ-ს ძირითადი ცხრილის ინდექსებში აღნიშნულია მეცნიერების სხვადასხვა დარგები. ძირითადი ცხრილი იწყება ნულოვანი კლასით (0) - ზოგადი განყოფილებით, ის მოიცავს მეცნიერებას მთლიანად, დამწერლობას, ინფორმაციას, კულტურას, ჟურნალისტიკას, სამუზეუმო საქმეს, ბიბლიოგრაფიას, საბიბლიოთეკო საქმეს და ა.შ. მოიაზრება, როგორც მთლიანი სქემის შესავალი.

ჰუმანიტარულ მეცნიერებებს განეკუთვნება კლასთა ჯგუფი, მოთავსებული ძირითადი ცხრილის დასაწყისში და ბოლოში: 1\3 (ფილოსოფია, ლოგიკა, ფსიქოლოგია, რელიგია, პოლიტიკა, ეკონომიკა, განათლება და სხვა) და 7/9 (ხელოვნება, ფილოლოგია, ისტორია, გეოგრაფია). მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი იკავებენ მე-5 განყოფილებას. გამოყენებით მეცნიერების ჯგუფში (კლასი 6) შედის ტექნიკა, მედიცინა, სოფ. მეურნეობა.

ძირითადი რიგი

0. ზოგადი განყოფილება

1. ფილოსოფიური მეცნიერებანი, ფილოსოფია
2. რელიგია. თეოლოგია
3. ზოგადი მეცნიერებანი
4. (თავისუფალია 1961 წლიდან)
5. მათემატიკა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი
6. გამოყენებითი მეცნიერებანი. მედიცინა ტექნიკა
7. ხელოვნება. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება ფილოსოფია. მუსიკა, თამაშები, სპორტი
8. ენათმეცნიერება, ფილოლოგია, მხატვრული ლიტერატურა, ლიტერატურათმცოდნეობა
9. გეოგრაფია, ბიოგრაფია, ისტორია

მე-5 და მე-6 კლასები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი, ამიტომაც ინდექსირებისას ნაწილობრივ ვხვდებით სიძნელეებს ინდექსის არჩევაში. ამ შემთხვევაში უნდა ვისარგებლოთ იმით რომ მე-5 განყოფილება - მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი ასახავენ თეორიულ საკითხებს, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კვლევის ზოგად წესებს, ხოლო მე-6 განყოფილება - გამოყენებითი მეცნიერებანი. მედიცინა. ტექნიკა - განიხილავს ამ წესების პრაქტიკული გამოყენების საკითხებს, გამოხატულს მედიცინაში, სოფლის მეურნეობაში, ტექნიკაში.

ზოგადიდან კონკრეტულობამდე ქვეგანყოფილებების იერარქიული პრინციპი წარმოადგენს დეტალიზაციის ძირითად მეთოდს.

სისტემატიზაციის ძირითადი პრინციპია შინაარსის მიხედვით სისტემატიზაცია. გამოცემის შინაარსი ასახულია კლასიფიკაციის შესაბამისი განყოფილებების ინდექსებში. ინდექსი განისაზღვრება გამოცემის თემატიკის შესაბამისად კლასიფიკაციის ცხრილების მიხედვით.

სისტემატიზაციის მეორე პრინციპია - სისტემატიზაცია გამოყენების სფეროების მიხედვით. მაგ. გამოცემას - მარკეტინგში მათემატიკური მეთოდების გამოყენების შესახებ - ექნება ინდექსი 389.1 (ვაჭრობის ზოგადი საკითხები. მარკეტინგი) და არა ინდექსი 51 (მათემატიკა).

დამხმარე ცხრილები

ძირითადი ცხრილების თანაბრად უაკ-ში არსებობს მსაზღვრელების ცხრილები, რომლებიც ქმნის ცალკეულ საკლასიფიკაციო რიგს.

მსაზღვრელები იყოფა ორ ჯგუფად: სპეციალური და საერთო. მსაზღვრელები, რომლებიც გამოიყენება უაკ-ს ყველა განყოფილებაში იწოდებიან საერთო განმსაზღვრელებად. მსაზღვრელები, რომლებიც გამოიყენება უაკ-ს მხოლოდ განსაზღვრულ განყოფილებაში, იწოდებიან სპეციალურებად.

სპეციალური მსაზღვრელები

სპეციალური მსაზღვრელები გამოიყენება იმ ცნებების აღსანიშნად, რომლებიც საერთოა ერთი ან რამდენიმე დარგისთვის. ისინი ინდექსის მოცილებად და მოძრავ ნაწილს წარმოადგენენ, რომლებიც შესაძლებელია მიერთებული იყოს მოცემული განყოფილების მიერ ინდექსთან შემდგომი დაკონკრეტების მიზნით.

განმასხვავებელი სიმბოლოების მიხედვით არსებობს სამი სახეობის სპეციალური მსაზღვრელები:

- 1/-9 მსაზღვრელი დეფისით (0-ლის გარდა. ზოგადი მსაზღვრელები დეფისით)
- .01/.09 მსაზღვრელი ნული წერტილით
- '1/'9 ზღვრელები აპოსტროფით

სპეციალური მსაზღვრელები უმეტეს შემთხვევაში მუშავდება და გამოიყენება ძირითად ცხრილში და ათავსებენ უშუალოდ იმ ცხრილში სადაც გამოიყენება.

სპეციალური მსაზღვრელები დეფისითა და ნული - წერტილით ასრულებს ორმაგ ფუნქციას:

- 1) სპეციალური მსაზღვრელები განყოფილების საერთო ინდექსთან შეერთებით აღნიშნავს დარგის ზოგად შინაარსს, თუკი მოცემული დარგის ცნება არ აღნიშნება განყოფილების ძირითად ინდექსში. მაგ:
62-52- ავტომატურად კონტროლირებადი, რეგულირებადი ან მართული მანქანები და პრესები (საინჟინრო საქმე. ტექნიკა)
66.011 პროცესების გაანგარიშება (ქიმიური ტექნოლოგია)
- 2) იგივე მსაზღვრელები, როგორც ინდექსის მოძრავი ნაწილი მიერთებული ნებისმიერ ინდექსთან ასრულებს ანალიტიკურ ფუნქციას, რომელიც აზუსტებს ამ ინდექსით გამოხატულ კონკრეტულ ცნებას. მაგ:
621.979-59 ავტომატური პრესები
სადაც 621.979 პრესები

ან 661.25.011 გოგირდმჟავას წარმოების პროცესების გაანგარიშება
სადაც 661.25 გოგირდმჟავას წარმოება

მსაზღვრელები -1/-9 (მსაზღვრელები დეფისით) დაწვრილებით დამუშავებულია განყოფილება 62-ში სახელწოდებით საინჟინრო საქმე. ტექნიკა მთლიანად. აგრეთვე ვრცელდება მთლიანად კლასს 6-ზე და ნაწილობრივ გამოიყენება მე-5 და მე-7 განყოფილებებში.

სპეციალური მსაზღვრელები 62-1/-8 როგორც წესი, დაერთვის იმ ინდექსებს, რომლებიც აღნიშნავენ მანქანებს, აპარატურებს, დანადგარებს და ა.შ. მაგ:

621.51-155 რადიალური კომპრესორები

ინდექსები, რომლებიც აღნიშნავს ტექნოლოგიურ პროცესებს, წარმოებას, სპეციალური მსაზღვრელები 62-1/-8, შეიძლება დავურთოთ მხოლოდ ურთიერთმიმართების ნიშნის გამოყენებით (:), ამგვარად, დოკუმენტი რომელიც აღწერს დგუშის რგოლის ჩამოსხმის ტექნოლოგიას, მიენიჭება ინდექსი 621.74.04 :62-242.3

მსაზღვრელები '1/'9 (აპოსტროფით მსაზღვრელები), განსხვავდებიან -1-9 და .01/.09-გან, ასრულებენ სინთეზურ ფუნქციას და გამოიყენება ცალკეული ელემენტებისაგან შემდგარი ნივთიერების კომპლექსურად აღნიშვნისათვის. მაგ:

546.267 ციანიდური წყალბადი. ციანიდები

546.32 კალიუმი

546.32'267 კალიუმციანიდი

სპეციალურ მსაზღვრელებს, რომელთაც ერთნაირი დაბოლოება აქვთ, სხვადასხვა მნიშვნელობა ენიჭებათ სხვადასხვა განყოფილებაში. მაგ:

54-31 ოქსიდები (ჟანგეული) (სპეც. განმსაზღვრელი 54 განყ-ში)

82-31 რომანები. მოთხრობები (სპეც. განმსაზღვრელი 82 განყ-ში)

სპეციალური მსაზღვრელები, განყოფილების ძირითად ინდექსებთან შეერთებით, შეიძლება განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი ინდექსები (თუკი მოცემულ ცნებაზე არ არის ძირითადი ინდექსი) და მათი დახმარებით შეიძლება ზოგადი საკითხების მქონე მასალების კომპლექსირება. მაგ:

82.09. ლიტერატურათმცოდნეობა (მთლიანად)

62-762 შემკვრივება

62-59 მუხრუჭები

რელიგიის სპეციალური მსაზღვრელები

რადგან სხვადასხვა რელიგიის განხილვისას იხმარება მსგავსი ცნებები და მეთოდები ისეთი, როგორცაა თეოლოგიური საფუძვლები, მოქმედი პირები (მაგ. წმინდანები), იერარქიული სტრუქტურები, წმინდა წიგნები და სხვა, 2000 წლიდან შემოღებულია ერთიანი (ფასეტური - ასპექტური) მსაზღვრელები, რომლებიც ყველა რელიგიისათვის ერთ პრინციპზეა დაფუძნებული.

ინდექსი	რუბრიკა-ფასეტი
-1	თეორია და ფილოსოფია. რელიგიური კონცეფციები, თეოლოგიური იდეები. რელიგიის ბუნება
-2	რელიგიის საფუძვლები - ცნობები, ფაქტები, მტკიცებულებები. წმინდა წიგნები. ხელნაწერები
-3	აგენტები. პიროვნებები აღნიშნულ რელიგიაში (იესო ქრისტე, წმინდანები და სხვ.)
-4	ოპერაციები. სოციალური წესჩვეულებები და პრაქტიკა. სოციალური თეოლოგია.
-5	შიდა პროცესები. რიტუალური პრაქტიკა და ცერემონიალი. დღესასწაულები.
-6	გარე პროცესები. საზოგადოებასთან და სარწმუნოებებს შორის დამოკიდებულებები. განვითარება და დაცემა
-7	ნაწილები. რელიგიის სტრუქტურები. რელიგიური იერარქია და მმართველობა. რელიგიური კანონები. რელიგიური ორგანიზაციები და ასოციაციები. ორდენები. სექტები და მოძრაობები
-8	ნაირსახეობები. აზროვნების სკოლები და ფილოსოფიები. სპეციფიური რელიგიები და რწმენები. ერესი.
-9	ზოგადი ისტორია. სარწმუნოებისა და რელიგიების ისტორია. ეკლესიები და დენომინაციები.

ყოველი რელიგიისათვის ხდება ამ ფასეტური ინდექსების დეტალიზაცია უაკ-ს ზოგადი მეთოდის შესაბამისად (იხ. ინდექსები უაკ საერთო ცხრილების მე-2 განყოფილებაში).

ზოგადი მსაზღვრელები

უაკ-ს ზოგადი მსაზღვრელები ასახავს ზოგად კატეგორიებს, რომლებიც მთელ ცხრილში გამოიყენება (დრო, ადგილი, ენა, ფორმა და სხვა) და ემსახურება ზოგადი კატეგორიების და ნიშნების სტანდარტულ ინდექსს).

ზოგადი მსაზღვრელები არ გამოიყენება ძირითადი ცხრილის ინდექსების გარეშე.

თავიანთი ფუნქციის მიხედვით ზოგადი მსაზღვრელები შეიძლება დაყოფილი იყოს ორ ჯგუფად:

- მსაზღვრელები რომლებიც ემსახურებიან ფორმალური ნიშნების, აღნიშვნას. მას შეიძლება მივაკუთვნოთ ენისა (რუსული, ინგლისური, გერმანული) და ფორმის (სახელმძღვანელოები, საცნობაროები) მსაზღვრელები.

- მსაზღვრელები, რომლებიც ემსახურებიან ინფორმაციის შინაარსის უფრო დეტალურ ასახვას. ამათ განეკუთვნება ადგილის, დროის, პირის, მასალების მსაზღვრელები.

დოკუმენტის ფორმის მსაზღვრელები აღნიშნავს, რა სახის გამოცემასთან გვაქვს საქმე (ენციკლოპედია, ცნობარები, სახელმძღვანელოები და ა. შ.). ფორმის მსაზღვრელების განმასხვავებელი სიმბოლოა (0...) მაგ:

(075.8) სახელმძღვანელოები უმაღლესი სასწავლებლებისათვის

(083.74) სტანდარტები. ნორმალური. ტექნიკური პირობები

ადგილის მსაზღვრელები ასახავს დოკუმენტში მოცემული საგნის ადგილმდებარეობას. ისინი ძირითადად გამოიყენება პოლიტიკის, ეკონომიკის, ისტორიის ამსახველ კლასიფიკაციებში და თავსდება მრგვალ ფრჩხილებში:

(470 + 571) რუსეთის ფედერაცია

(470.311) მოსკოვის ოლქი

ენის მსაზღვრელები გამოიყენება, როდესაც აუცილებელია გამოცემის ენის მითითება. ყველაზე ხშირად ისინი ლექსიკონების, მრავალენოვანი გამოცემების ინდექსირებისას გამოიყენება. ენის მსაზღვრელები შეიცავს ენის კლასიფიკაციას, ისინი გამოიყენება აგრეთვე თარგმანების აღნიშვნისათვის. ენის მსაზღვრელების განმასხვავებელი სიმბოლოა ტოლობის ნიშანი (=) მაგ:

=111 ინგლისური ენა

=112.2 გერმანული ენა

=161.1 რუსული ენა

=00 მრავალენოვანი სამუშაოები

629.78(051)=112.2 -ჟურნალი კოსმონავტიკაზე გერმანულ ენაზე

თარგმანების აღსანიშნავად გამოყენებულია მსაზღვრელი =03. თარგმნილი სამუშაოები. თარგმანები. მაგ:

61=03.111=161.1 მასალები მედიცინაში თარგმნილი ინგლისური ენიდან რუსულ ენაზე.

ხალხების აღმნიშვნელი მსაზღვრელები (ცხრილი YF) უახლოვდება ენის მსაზღვრელებს. ისინი შექმნილია ენის მსაზღვრელებისაგან და მოთავსებულია მრგვალ ფრჩხილებში (=...) და ემსახურებიან ეროვნების აღნიშვნას.

(=111) ინგლისელები

(=112.2) გერმანელები

(=116.1) რუსები

(=214.58) ბოშები

(=411.16) ებრაელები

პიროვნების მსაზღვრელების გამოყენება შესაძლებელია ყველა განყოფილებაში, თუ პიროვნების ასპექტი მეორადია დოკუმენტში ასახული ძირითადი ინდექსის მიმართებაში.

ადგილის მსაზღვრელები ემსახურებიან გეოგრაფიული ან ტერიტორიული ასპექტის ასახვას, რომელშიც განიხილება მოცემული თემა. ადგილის მსაზღვრელები შესაძლებლობას იძლევიან გამოვყოთ ადგილი და ზოგადად სივრცე, ფიზიკურ-გეოგრაფიული ოლქები და ზონები, მდინარეები, ზღვები, ოკეანეები, თანამედროვე და ძველი მსოფლიოს ქვეყნები და ტერიტორიები და ა.შ. მსგავსი მსაზღვრელების სიმბოლო მრგვალი ფრჩხილებია (1/9), მაგალითად:

- (100) მთლიანად მსოფლიო. საერთაშორისო
- (261) ატლანტის ოკეანე
- (470 + 571) რუსეთის ფედერაცია
- (470.311) მოსკოვის ოლქი

ადგილის მსაზღვრელები ერთვიან უაკ -ს ნებისმიერი განყოფილების ინდექსს დოკუმენტის შინაარსის ასახვის მიზნით, მაგ:

- 55(5) აზიის გეოლოგია
- 551.482(282.247.41) ვოლგის ჰიდროლოგია
- 69(213.5) მშენებლობა ტროპიკებში (ტროპიკულ ზონაში)

ზოგადი მსაზღვრელების ცხრილში შემდეგი ძირითადი დაყოფაა

- (1) ადგილი და ზოგადად სივრცე. ლოკალიზაცია. ორიენტაცია (მაგალითად, მსოფლიო, კოსმოსი, განვითარებადი ქვეყნები და ა.შ.)
- (2) ადგილმდებარეობის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება (კუნძულები, კლიმატური სარტყელები, ოკეანეები, ზღვები, მდინარეები, მთები, ტუნდრა და ა.შ.)
- (3) ძველი მსოფლიოს ქვეყნები და მხარეები (ასურეთი, ელადა, თრაკია და ა.შ.)
- (4/9) თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნები და მხარეები (ევროპა, აზია, ამერიკა,

არქტიკა და ა.შ.)

ადგილის მსაზღვრელებს აქვთ დეფისიანი სისტემა, რომლებითაც შესაძლებელია ადგილის შესახებ სხვადასხვა დაზუსტებებისა და შემოსაზღვრულობების ასახვა, მაგალითად:

(-04) სასაზღვრო ზონები.

დროის მსაზღვრელებს განმასხვავებელი სიმბოლო "..." (ბრჭყალები) აქვთ. ეს მსაზღვრელები ქრონოლოგიური პრინციპით ქვედანაყოფების შექმნას ემსახურებიან.

მაგალითად:

621. 979 "1964" 1964წ. პრესა

621. 979 "1968" 1968წ. პრესა

94(4) "1939/1945" მეორე მსოფლიო ომის ისტორია

როგორც მაგალითებიდან ჩანს ქრონოლოგიური თარიღი გამოისახება არაბული ციფრებით აღნიშნული წლის ბრჭყალებში მოთავსებით. თარიღი შესაძლებელია დაზუსტდეს თვემდე, დღემდე და ა. შ. მაგალითად:

"1961. 04. 12" 1961წ. 12 აპრილი (ი. გაგარინის გაფრენა კოსმოსში)

დროის განმსაზღვრელები არ გამოიყენება გამოცემის ან პუბლიკაციის თარიღის მითითებისათვის.

ზოგადი მსაზღვრელები დეფისით (ცხრილი IK)

დეფისიანი სპეციალური მსაზღვრელებისაგან განსხვავებით, ამ ზოგადი მსაზღვრელების სიმბოლოა – 0. არსებობს სამი ტიპის ზოგადი მსაზღვრელები – 0...

- 02 თვისებები
- 03 მასალები
- 05. პირები. პირადი დახასიათებები

თვისებების საერთო მსაზღვრელები შეიცავს თვისებების შემდეგ ჯგუფებს: არსებობა, დამოკიდებულება, ხარისხი, წარმოშობა, სტრუქტურები, ფორმები, მოწესრიგება, მოძრაობა და სხვა.

- მაგ:
- 021.4 თვისებების მნიშვნელობა (თვისება)
 - 021.479 საუკეთესო, იდეალური, ფუფუნება

მასალების მსაზღვრელები -03 გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა განიხილება რომელიმე საგანი (ნაწარმი) და მის დამახასიათებელ თვისებებში მითითებულია მასალა, რომლისგანაც გაკეთებულია ეს საგანი (ნაკეთობა), ე.ი. "ლითონის, ხის, მინის, კალის, პლასტმასის" და ა.შ.

- მაგ:
- 621.822 საკისრები
 - 621.822-034 ლითონებისაგან
 - 621.822-036.5 პლასტმასისაგან და ა.შ.

მსაზღვრელები -05 პირები. პირადი დახასიათებები შეიცავს ხალხის დახასიათებებს მათი მდგომარეობის მიხედვით, როგორცაა მოღვაწეობის სახეობა, ასაკი, სქესი და ა.შ.

- მაგ.:
- 616-051 სამედიცინო პერსონალი
 - 368-051 სადაზღვევო აგენტები
 - 614.8-051 მაშველები
 - 616-052 ავადმყოფები. პაციენტები

საერთო მსაზღვრელები -05 არ შეიძლება გამოვიყენოთ წარმოსახვის საშუალების როლის შემსრულებლად. მაგ: ინდექსს 685.31-055.2 შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი მნიშვნელობა ქალები ფეხსაცმლის მრეწველობაში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, "ქალის ფეხსაცმელი."

უაკ საკლასიფიკაციო სქემა
ძირითადი ცხრილები



ინდექსი	რუბრიკა
0	ზოგადი განყოფილება
00	მეცნიერებისა და კულტურის საწყისები, საფუძვლები. კომპიუტერული მეცნიერება
001	მეცნიერება და ცოდნა. გონებრივი შრომის ორგანიზაცია.
001.9	ცოდნის გავრცელება: ფაქტები, ფანტაზია და ფალსიფიკაცია. შეზღუდვა ცოდნის გავრცელებაში. ცოდნის საიდუმლოდ შენახვა.
009.94	მეცნიერებაში აუხსნელი სხვადასხვა მოვლენა
002	ბეჭდვითი სიტყვა ზოგადად დოკუმენტაცია. სამეცნიერო ტექნიკური ინფორმაცია (სტი)
003	დამწერლობის სისტემა. ანბანური ნიშნები და სიმბოლოები. სემიოტიკა ზოგადად
004	საინფორმაციო ტექნოლოგიები. კომპიუტერული ტექნოლოგიები
004.2	გამოთვლითი მანქანების არქიტექტურა
004.3	გამოთვლითი ტექნიკა. გამოთვლითი მანქანები. აპარატურა
004.31	მონაცემთა დამუშავების ბლოკები. პროცესორები
004.38	კომპიუტერების სახეები
004.4	პროგრამული საშუალებები
004.41	პროგრამული უზრუნველყოფა
004.42	პროგრამირება ელექტრონულ გამოთვლით მანქანებზე. კომპიუტერული პროგრამირება
004.43	პროგრამირების ენები
004.45	სისტემური პროგრამული უზრუნველყოფა
004.48	კომპიუტერული ვირუსები

004.5	ადამიანისა და მანქანის ურთიერთქმედება. სამომხმარებლო ინტერფეისი
004.6	მონაცემები. მონაცემებითა და ფაილებით მანიპულირება მანიპულირება. მონაცემთა მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა.
004.7	კომპიუტერების ურთიერთობა (კომუნიკაცია). ელექტრონული გამოთვლითი მანქანების ქსელი. გამოთვლითი ქსელები
004.8	ხელოვნური ინტელექტი
004.9	გამოყენებითი საინფორმაციო (კომპიუტერული) ტექნოლოგიები
005	ორგანიზაციის პრობლემების შესწავლა: მეთოდოლოგია, ანალიზი, სინთეზი, კლასიფიკაცია და ტაქსონომია (თეორია და საფუძვლები), სისტემატიზაცია ზოგადად
005.1	მართვის თეორია
005.2	მმართველობის წარმომადგენლები
005.3	საქმიანობის მართვა
005.32	ორგანიზაციული რეჟიმი. მართვის ფსიქოლოგია
005.5	მართვა. ხელმძღვანელობა
005.6	მართვის ხარისხი. სრული მართვის ხარისხი
005.7	ორგანიზაციული მართვა
005.9	მართვის სფეროები
005.92	მონაცემთა მართვა
005.93	წარმოების მართვა მატერიალური რესურსების მართვა
005.94	მეცნიერების მართვა
005.95/96	პერსონალის მართვა. ადამიანთა რესურსების მართვა
006	სტანდარტიზაცია და სტანდარტები ნაწარმის, დამუშავების, ნიშნები
007	საქმიანობა და მისი ორგანიზაცია. ინფორმაციის, კავშირისა და მართვის (კიბერნეტიკა) ზოგადი თეორია
008	ცივილიზაცია. კულტურა. პროგრესი
009	ჰუმანიტარული მეცნიერებანი ზოგადად

01	ბიბლიოგრაფია. კატალოგები.
02	საბიბლიოთეკო საქმე. ბიბლიოთეკათმცოდნეობა
030	ზოგადი ტიპის საცნობარო გამოცემები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები და სხვ.
050	სერიული გამოცემები. ჟურნალები. მათი ფუნქცია
06	ორგანიზაციები და გაერთიანებების სხვა ტიპები. ასოციაციები. კონგრესები. გამოფენები
061	ორგანიზაციები და გაერთიანებების სხვა ტიპები. ასოციაციები. კონგრესები. გამოფენები. ფირმები. სამეცნიერო დაწესებულებები. საზოგადოებრივი ფუნქციები
061.1	სახელმწიფო ორგანიზაციები და გაერთიანებები. სამთავრობო, სახელმწიფო, ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციები
061.2	არასამთავრობო ორგანიზაციები და გაერთიანებები. კერძო ორგანიზაციები, საზოგადოებები, ასოციაციები, მოძრაობები და ა. შ.
069	მუზეუმები. მუდმივმოქმედი გამოფენები
070	გაზეთები, პრესა: მნიშვნელობა, დაქვემდებარება და კონტროლი, საგამომცემლო დარგში მართვის საკითხები, გავრცელება, რედაქტირება. ჟურნალისტიკა
08	შერეული ხასიათის (შინაარსის) გამოცემები. კრებულები
087	გამოცემები განსაზღვრული კატეგორიების მკითხველებისათვის
087.5	გამოცემები ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის
087.6	პოპულარული ლიტერატურა
088	შერეული შინაარსის სხვა გამოცემები
09	ხელნაწერები. იშვიათი (ანტიკვარული) წიგნები. რარიტეტები. უნიკალური წიგნები. ბიბლიოფილია. (წიგნთმცოდნეობა -იხ. 002)
1	ფილოსოფიური მეცნიერებანი. ფსიქოლოგია
1 (091)	ფილოსოფიის ისტორია



101	ფილოსოფიის ბუნება და როლი. კომპეტენცია. ზღვარი. მეთოდები
11	მეტაფიზიკა
122/129	ფილოსოფიის ცალკეული კატეგორიები და პრობლემები. დიალექტიკის კატეგორიები
13	სულიერების ფილოსოფია. სულიერი ცხოვრების მეტაფიზიკა
133	ოკულტიზმი
133.3	ოკულტური აღქმა. ნათელმხილველობა. წინასწარმეტყველება
133.4	ოკულტური ზეგავლენა. მაგია. ჯადოქრობა. თეურგია
133.52	ასტროლოგია
133.529.6	ქირომანტია. ქიროლოგია
133.529.9	სპირიტუიზმი
14	ფილოსოფიური სისტემები.
159.9	ფსიქოლოგია
159.9.07	ექსპერიმენტული ფსიქოლოგია. ფსიქოლოგიური კვლევა. ცდები, ექსპერიმენტები, ტესტები, გაზომვები
159.91	ფსიქოფიზიოლოგია (ფიზიოლოგიური ფსიქოლოგია)
159.913	ფსიქიკური ჰიგიენა
159.92	ფსიქიკის ფორმირება და განვითარება. შედარებითი ფსიქოლოგია
159.922	გონებრივი ცხოვრების თავისებურებანი. გონებრივი განვითარება ადამიანებში. დიფერენციული ფსიქოლოგია. გენეტიკური ფსიქოლოგია. განვითარების ფსიქოლოგია
159.922.1	სქესის ფსიქოლოგია
159.922.7	ბავშვთა ფსიქოლოგია
159.922.8	მოზარდთა და ყმაწვილთა ფსიქოლოგია
159.923	ფსიქოლოგიური ტიპები. ინდივიდუალური ფსიქოლოგია. პიროვნული ფსიქოლოგია. ინდივიდუალობა. პიროვნება. ხასიათის ფსიქოლოგია. ხასიათი. იდიოსინკრაზია. პიროვნული ტიპები
159.924	გენიალობა

1427.423
4

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

159.925	მოძღვრება ფსიქიკური პროცესების გარეგნული გამოხატვის შესახებ. ხასიათის ფსიქიკური თავისებურებების გარეგნული გამოხატვა
159.928	ნიჭიერების სხვადასხვა სახე
159.929	ბიოფსიქოლოგია. ცხოველებისა და მცენარეების ქცევები. შედარებითი ფსიქოლოგია
159.93	სენსორული პროცესები. შეგრძნებები
159.94	მოტორული ფუნქციები
159.95	უმაღლესი ფსიქიკური პროცესები
159.96	განსაკუთრებული ფსიქიკური მდგომარეობები და მოვლენები
159.961	პარაფსიქოლოგია. ჰალუცინაციები. ილუზიები. მოლანდეებები. მოჩვენებები
159.962	ჰიპნოტიზმი. თვითჰიპნოზი. შთაგონება. თვითშთაგონება. აუტოგენური ვარჯიში
159.963	ძილი და სიზმარი
159.964	სიღრმისეული ფსიქოლოგია. შეუცნობელი და ქვეცნობიერი
159.97	ფსიქიკის ანომალიები. სიგიჟე (შეშლილობა). გონებრივი ნაკლოვანებები. მელანქოლია
159.98	გამოყენებითი ფსიქოლოგია
16	ლოგიკა. შემეცნების თეორია. მეცნიერების მეთოდოლოგია და ლოგიკა
17	ეთიკა. მოძღვრება მორალზე. პრაქტიკული ფილოსოფია
171	ინდივიდუალური მორალი (ეთიკა, ზნეობა).
172	სოციალური ეთიკა
172.1	სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ურთიერთდამოკიდებულება
172.3	რელიგია და სახელმწიფო. აღმსარებლობის თავისუფლება. ტოლერანტობა. შემწყნარებლობა . შეუწყნარებლობა. დევნა
173	ოჯახური ეთიკა
174	პროფესიული ეთიკა



175	დასვენებისა და გართობის ეთიკა
176	სქესობრივი ეთიკა
177	ეთიკა და საზოგადოება
178	ეთიკა და ზომიერება, თავშეკავებულობა
179	ეთიკის სხვა საკითხები
18	ესთეტიკა
2	რელიგია. თეოლოგია
21	რელიგიის ფილოსოფია და თეორია. რელიგიის ბუნება
21	წინარეისტორიული და პრიმიტიული რელიგიები
22	შორეული აღმოსავლეთის რელიგიები
221	ჩინეთის რელიგიები
221.3	დაოიზმი (დაო)
223	კორეის რელიგიები
225	იაპონიის რელიგიები
225.2	შინტო
23	ინდოეთის სუბკონტინენტის რელიგიები
231	ვედიზმი
233	ინდუიზმი (დაწვრილებით)
233-242	ვედა
233-242.3	რიგვედა
233-247	უფანიშადეები
233-252.5	იოგა
234	ჯაინიზმი
235	სიკჰიზმი
24	ბუდიზმი
241	ჰინაიანა (თერავედა) - ბუდიზმი
242	მაჰაიანა - ბუდიზმი
243	ლამაიზმი
244	იაპონელთა ბუდიზმი
25	ანტიკური ხანის რელიგიები.

251	ძველი ეგვიპტის რელიგიები
252	მესოპოტამიის რელიგიები
254	ირანის რელიგიები
254.2	ზოროასტრიზმი
255	კლასიკური ანტიკური ხანის რელიგიები. ძველი საბერძნეთი და რომი
257	ევროპის რელიგიები
26	იუდაიზმი
26-24	ებრაული ბიბლია
26-242	თორა
27	ქრისტიანობა
27-1	ქრისტიანული ღვთისმეტყველება (თეოლოგია)
27-14	ღმერთი. ღმერთის ქრისტიანული გაგება
27-144.89	სამება
27-144.892	მამაღმერთი
27-144.894	ძეღმერთი
27-167	ზებუნებრივი არსებები. ანგელოზები, სატანა და სხვა
27-167.2	ანგელოზები. ანგელოზთა იერარქია. "საყდარნი" "უფლებანი". "მთავრობანი". "მალნი".
27-23	ბიბლია
27-24	ძველი აღთქმა ქრისტიანობაში
27-246	ახალი აღთქმა
27-282.5	ლოცვანი
27-284	ქრისტიანული დოგმატიკა
27-29	ქრისტიანული ლიტერატურა
27-31	იესო ქრისტე. ქრისტოლოგია
27-312.47	მარიაში. ქალწული მარიაში. მარიოლოგია
27-36	ქრისტიანი წმინდანები. ჰაგიოლოგია
27-4	პრაქტიკული ღვთისმეტყველება. ქრისტიანული პრაქტიკა
27-428-242.6	ათი მცნება
27-45	ქრისტიანული ქორწინება და ოჯახი.



27-46	პასტორული ღვთისმეტყველება
27-5	ქრისტიანული ღვთისმსახურება და წეს-ჩვეულებანი
27-522	ქრისტიანული ადგილები (სანახები). წმინდა ადგილები
27-523	საეკლესიო ნაგებობანი (შენობები)
27-526.62	ხატები. ფრესკები. ფერწერა. ხატწერა
27-526.64	ქანდაკება
27-528	ქრისტიანული ლიტურგია
27-535	მუსიკა
27-55	საიდუმლოებანი
27-558.3	ნათლობა
27-564	საეკლესიო წელი. ქრისტიანული კალენდარი
27-565	დღესასწაულები
27-565.3	შობა
27-565.4	დიდმარხვა
27-565.6	აღდგომა
27-565.74	სამებობა
27-64	ქრისტიანული კავშირები (მიმართებანი)
27-675	ეკუმენიზმი
27-72	ქრისტიანული ეკლესია
27-726.3	მღვდლები. ღვთის მსახურები, მონაცვლეები (ვიკარები)
27-732.3	ეკლესიათა მმართველი ორგანოები. სინოდები. კრებები.
27-763	სამისიონერო კამპანიები. ჯვაროსნობა.
27-789.5	იეზუიტების ორდენი
27-852.5	აზროვნების ქრისტიანული სკოლები, ფილოსოფიები
27-87	ერესი. ერესები.
27-9	ეკლესიის ისტორია. ქრისტიანული ეკლესიის ზოგადი ისტორია
27-9"01/07"	[საეკლესიო] ისტორია მე-2 – მე-8 სს-ში. ჩვ.წ. ; ეკლესიის მამათა ეპოქა.
271/279	ქრისტიანული ეკლესიები და დენომინაციები
271	აღმოსავლური ეკლესია

271.2	მართლმადიდებლური ეკლესიები. ბერძნული და რუსული მართლმადიდებლური ეკლესია
271.2-726.1	ადმოსავლური პატრიარქატები
271.22	ნაციონალური (ეროვნული) მართლმადიდებლური ეკლესიები (გამოიყენება ადგილის მსაზღვრელთან ერთად)
271.222	ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიები
271.222(479.22)	ქართული მართლმადიდებლური ეკლესია
271.222(479.22) - 726.1	საქართველოს კათალიკოს - პატრიარქი
271.72	სომხური მონოფიზიტური ეკლესია
272	რომაულ-კათოლიკური ეკლესია
273.4	ანგლიკანური ეკლესია
274/278	პროტესტანტული ეკლესიები
274.5	ლუთერანები
277.4	ბაპტისტები
277.6	მეთოდისტები
278.17	კვაკერები
278.19	ხსნის არმია
279	სხვა ქრისტიანული მოძრაობები და ეკლესიები
279.12	თანამედროვე ქრისტიანული მოძრაობები
279.13	ადვენტიტები
279.17	იელოვას მოწმენი
28	ისლამი
28-24	ყურანი
282	სუნიტები
284	შიიტები
29	თანამედროვე სასულიერო (რელიგიური) მიმდინარეობანი
292	ძველი ბერძნული და რომაული რელიგიები. კლასიკური მითოლოგია)
299.2	ათეიზმი
299.3	აგნოსტიციზმი

299.4	ჰუმანიზმი
3	საზოგადოებრივი მეცნიერებანი
30	საზოგადოებრივი მეცნიერებების თეორია და მეთოდები ზოგადად. სოციოგრაფია
31	დემოგრაფია. სოციოლოგია. სტატისტიკა
314	დემოგრაფია.
316	სოციოლოგია
316.1	სოციოლოგიის საგანი და მისი მომცველობა
316.2	სკოლები და მიმართულებანი სოციოლოგიაში
316.3	სოციალური სტრუქტურები. საზოგადოება, როგორც სოციალური სისტემა
316.4	სოციალური პროცესები. სოციალური დინამიკა
316.6	სოციალური ფსიქოლოგია
316.7	კულტურის სოციოლოგია. სოციალური ცხოვრების კულტურული კონტექსტი
32	პოლიტიკა
32.001	პოლიტოლოგია
321	პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმები. სახელმწიფო როგორც პოლიტიკური ხელისუფლება
322	სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა. პოლიტიკა რელიგიისა და ეკლესიის მიმართებაში.
323	საშინაო პოლიტიკა
323 (479.22)	საქართველოს საშინაო პოლიტიკა
323.1	ეროვნული, სახალხო, ეთნიკური მოძრაობები და პრობლემები. ეროვნული და ეთნიკური უმცირესობანი. რასიზმი
324	არჩევნები. რეფერენდუმები. პლემბისციტები. საარჩევნო კამპანიები. კორუფცია და დარღვევები არჩევნების დროს. არჩევნების შედეგები
325	მოსახლეობის მიგრაცია. ახალი ტერიტორიების ათვისება. კოლონიზაცია.
326	მონობა



327	საერთაშორისო ურთიერთობანი. გლობალური მსოფლიო პოლიტიკა. საგარეო პოლიტიკა.
327.7	საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა (გაერო, ეუთო და სხვ.)
328	პარლამენტი. სახალხო წარმომადგენლობა. მთავრობა
329	პოლიტიკური პარტიები და მოძრაობები
329 (479.22)	საქართველოს პოლიტიკური პარტიები და მოძრაობები
33	ეკონომიკა. ეკონომიკური მეცნიერებანი
330	ეკონომიკური მეცნიერებანი ზოგადად.
331	შრომა. დასაქმება. სამუშაო. შრომის ეკონომიკა. შრომის ორგანიზაცია
331.105.44	მშრომელთა ორგანიზაცია. პროფსაბჭოები
332	რეგიონალური (ტერიტორიული) ეკონომიკა. მიწის (აგრარული) საკითხი. საბინაო მეურნეობა
334	ორგანიზაციისა და თანამშრომლობის ფორმები ეკონომიკაში
336	ფინანსები.
336.02	საფინანსო პოლიტიკა. საგადასახადო პოლიტიკა
336.1	სახელმწიფო ფინანსები ზოგადად.
336.2	სახელმწიფო შემოსავლები
336.3	სახელმწიფო სესხები. ადგილობრივი სესხები. სახელმწიფო ვალები. სამხედრო სესხები. სესხების დაფარვა. სახელმწიფოს გადახდისუნარიობა (გაკოტრება, ბანკროტობა)
336.4	სხვა შემოსავლები და ფინანსური წყაროები
336.5	სახელმწიფო ხარჯები
336.6	სამეურნეო ორგანიზაციების ფინანსები. მეურნეობის დარგების ფინანსები.
336.7	ფულადი მიმოქცევა. საბანკო საქმე. ბირჟები
338	ეკონომიკური მდგომარეობა. ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარება. ზრდა
338 (479.22)	საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა



338.1	ეკონომიკური მდგომარეობა. კონიუნქტურა. სამეურნეო სტრუქტურის განვითარება. ეკონომიკური ზრდა
338.2	ეკონომიკური პოლიტიკა. მართვა და დაგეგმარება ეკონომიკაში
338.4	პროდუქციის წარმოება და მომსახურება მეურნეობის დარგების მიხედვით
338.43	სოფლის მეურნეობის ეკონომიკა.
338.45	მცირე სამრეწველო საწარმოების ეკონომიკა
338.46	მომსახურების სფეროს ეკონომიკა
338.47	ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ეკონომიკა
338.48	ტურიზმის ეკონომიკა
338.49	ინფრასტრუქტურა. ზოგადი საკითხები
338.5	ფასები. ფასწარმოება. საწარმოს ხარჯები. თვითღირებულება.
339	ვაჭრობა. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი. მსოფლიო ეკონომიკა.
339.1	ვაჭრობის ზოგადი საკითხები. ბაზარი
339.3	საშინაო ვაჭრობა
339.5	საგარეო ვაჭრობა. საერთაშორისო ვაჭრობა. საგარეო სავაჭრო პოლიტიკა. საბაჟო გადასახადები
339.7	საერთაშორისო ფინანსები
339.9	საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები. საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი. მსოფლიო მეურნეობა
34	სამართალი. იურიდიული მეცნიერებანი
340	სამართალი ზოგადად.
340.6	სასამართლო მედიცინა. სასამართლო ფსიქოლოგია. სასამართლო ქიმია. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა
341	საერთაშორისო სამართალი
342	სახელმწიფო (საჯარო) სამართალი. საკონსტიტუციო სამართალი. ადმინისტრაციული სამართალი



342.7	ძირითადი უფლებები. ადამიანის უფლებები. მოქალაქეთა უფლება—მოვალეობანი. ეროვნება. მოქალაქეობა. სამოქალაქო სამართალი. კონსტიტუციური თავისუფლება
343	სისხლის სამართალი. სისხლის სამართალწარმოება.
344	სისხლის სამართლის განსაკუთრებული სახეები. სამხედრო სისხლის სამართალი. საზღვაო სისხლის სამართალი. სამხედრო-საჰაერო სისხლის სამართალი
346	სამეურნეო სამართალი. ეკონომიკის სახელმწიფო დარეგულირების სამართლებრივი საფუძვლები
347	სამოქალაქო სამართალი. სასამართლო.
347.1	სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი
347.2/.3	ქონებრივი სამართალი. საკუთრების სამართალი
347.4	სახელშეკრულებო სამართალი. ხელშეკრულებები. შეთანხმებები. სახელშეკრულებო ვალდებულებები
347.5	არასახელშეკრულებო ვალდებულებები. სამოქალაქო ვალდებულებები
347.6	საოჯახო სამართალი. მემკვიდრეობითი სამართალი
347.7	კომერციული (სავაჭრო) სამართალი
347.78	ხელოვნებისა და ლიტერატურის საკუთრება. საავტორო უფლებები.
347.79	საზღვაო სამართალი.
347.8	საჰაერო სამართალი. სამართალი ეთერზე. რადიომაუწყებლობისა და სატელევიზიო გადაცემათა სამართალი. კოსმოსური სამართალი
347.9	სამოქალაქო პროცესუალური სამართალი. სასამართლო წყობა
348	რელიგიური სამართალი. საეკლესიო სამართალი
349	სამართლის სპეციალური დარგები. შერეული ხასიათის იურიდიული საკითხები
349.2	შრომითი სამართალი
349.3	სოციალური უზრუნველყოფის სამართალი



349.4	მიწის სამართალი. დასახლებული ადგილების დაგეგმარების სამართალი
349.6	გარემოს დაცვის სამართლებრივი პრობლემები
349.7	ატომური სამართალი
35	სახელმწიფო ადმინისტრაციული მმართველობა. მთავრობა. სამხედრო საქმე. სამხედრო მეცნიერებანი
351	სახელმწიფოს ადმინისტრაციული მმართველობის ობიექტები და ამოცანები
352/354	მმართველობის დონეები. ადგილობრივი, რეგიონალური და ცენტრალური ადმინისტრაცია (მმართველობის ორგანოები)
355/359	სამხედრო საქმე. სამხედრო ხელოვნება. სამხედრო მეცნიერება. თავდაცვა. შეიარაღებული ძალები.
36	ცხოვრებისეული, სულიერი და მატერიალური მოთხოვნების უზრუნველყოფა.
364	სოციალური დახმარების აუცილებლობის გამომწვევი საზოგადოებრივი პრობლემები. დახმარების სახეები
365	საბინაო მოთხოვნები და მათი დაკმაყოფილება. საბინაო უზრუნველყოფა
366	კონსუმერიზმი. მომხმარებელთა სოციალური უფლებების (მოთხოვნების) დაკმაყოფილება.
368	დაზღვევა
369	სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა (გარანტიები)
37	განათლება. აღზრდა. სწავლება. თავისუფალი დრო.
37.01	აღზრდის, განათლებისა და სწავლების საფუძვლები (თეორია, ფილოსოფია და პედაგოგიკა)
37.02	აღზრდისა და სწავლების (დიდაქტიკის) ზოგადი საკითხები. მეთოდოლოგია
37.03	პიროვნებისა და ინტელექტის ფორმირება
37.04	აღზრდა და სწავლება ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით

371	აღზრდისა და განათლების სისტემის ორგანიზაცია. სკოლათმცოდნეობა
371.4	აღზრდის სისტემები
371.8	მოსწავლეთა კლასგარეშე ცხოვრება
372	სკოლამდელი აღზრდისა და დაწყებითი სწავლების ფორმა და შინაარსი
372.3	სკოლამდელი აღზრდის ფორმა და შინაარსი
372.4	დაწყებითი სწავლების ფორმა და შინაარსი
372.8	ცალკეული საგნების სწავლება
372.82	რელიგიის სწავლება
372.83	საზოგადოებათმცოდნეობის ცალკეული საგნების სწავლება
372.851	მათემატიკის ცალკეული საგნების სწავლება
372.853	ფიზიკის ცალკეული საგნების სწავლება
372.854	ქიმიის ცალკეული საგნების სწავლება
372.857	ბიოლოგიის ცალკეული საგნების სწავლება
372.862	ტექნიკური სწავლება ზოგადად
372.863	სასოფლო-სამეურნეო სწავლება
372.864	მეოჯახეობის სწავლება
372.87	ხელოვნების შესწავლა
372.874	ხატვის სწავლება
372.878	მუსიკის სწავლება
372.881.1	ენების შესწავლა
372.881.111.1	ინგლისური ენის სწავლება
372.881.111.22	გერმანული ენის სწავლება
372.881.1161.11	რუსული ენის სწავლება
372.881.135.31	ქართული ენის სწავლება
372.882.1	ლიტერატურის სწავლება
372.882.116.11	რუსული ლიტერატურა
372.882.135.31	ქართული ლიტერატურა
372.891	გეოგრაფიის სწავლება
372.893	ისტორიის სწავლება



373	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები.
373.1	სასწავლო პროცესის ორგანიზაცია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში
373.3	სწავლების პირველი საფეხური. დაწყებითი სკოლა
373.4	სწავლების მეორე საფეხურზე გადასვლა. არასრული საშუალო სკოლა
373.5	სწავლების მეორე საფეხური. საშუალო სკოლა
373.6	ტექნიკური სწავლება (ჩართული ზოგად განათლებაში)
374	არასასკოლო ზოგადი განათლება. თვითგანათლება
376	განსაკუთრებულ პირთა ჯგუფების განათლება, სწავლება და მომზადება. სპეციალური სკოლები
376.37	ლოგოპედია
377	პროფესიული და საშუალო სპეციალური განათლება
378	უმაღლესი განათლება. უმაღლესი სასწავლებლები. უნივერსიტეტები. სამეცნიერო კადრების მომზადება
379	თავისუფალი დროის გამოყენება
379.85	ტურიზმი
39	ეთნოგრაფია. ეთნოლოგია. ზნე-ჩვეულებანი. ხალხთა ცხოვრება. ფოლკლორი
390.4	ნუდიზმი. სიშიშვლე. ნატურიზმი
391	კოსტიუმები. ტანსაცმელი. ეროვნული ტანსაცმელი. მოდა. მორთულობა
392	ხალხური ზნე-ჩვეულებანი პირად ცხოვრებაში
393	სიკვდილი. მიცვალებულის მოვლა. დაკრძალვა. სიკვდილთან და დაკრძალვასთან დაკავშირებული წესები.
394	საზოგადოებრივი ცხოვრება. სოციალური ცხოვრება. ხალხის ცხოვრება. ყოველდღიური ცხოვრება. ეზოსა და ქუჩის ცხოვრება
395	ცერემონიალი. ეტიკეტი. საზოგადოებაში ქცევის წესები. იერარქიული საფეხურები. ტიტულები
396	ქალთა მოძრაობა. ქალთა საკითხები. ქალთა მდგომარეობა



397	პირველყოფილი ხალხი. მომთაბარე ხალხი. განსხვავებული წეს-ჩვეულებების მქონე ხალხი.
398	ფოლკლორი (ამ სიტყვის ზუსტი გაგებით). პოპულარული ტრადიციები. ხალხური სიბრძნე. ცრურწმენა. ზღაპრები
5	მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი
501	ფიზიკურ-მათემატიკური და ქიმიური მეცნიერებების ზოგადი საკითხები
502	ბუნება. ბუნების შესწავლა და დაცვა. ველური ბუნების დაცვა
504	მეცნიერება გარემოზე. გარემოს შემსწავლელი მეცნიერებანი
51	მათემატიკა
510	მათემატიკა. მათემატიკური ლოგიკა და სხვ.
511	რიცხვთა თეორია
512	ალგებრა
514	გეომეტრია
515.1	ტოპოლოგია
517	ანალიზი
519.1	კომბინატორული ანალიზი. გრაფთა თეორია
519.2	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა
519.6	გამოთვლითი მათემატიკა, რიცხვითი ანალიზი და პროგრამირება (მანქანური მათემატიკა)
519.7	მათემატიკური კიბერნეტიკა
519.8	ოპერაციის კვლევა
52	ასტრონომია. ასტროფიზიკა. კოსმოსური სივრცის გამოკვლევა. გეოდეზია
520	ასტრონომიული დაკვირვების გაზომვისა და ანალიზის მეთოდები, ინსტრუმენტები და ხელსაწყოები
521	თეორიული ასტრონომია. ციური მექანიკა. ფუნდამენტური ასტრონომია. პოზიციური და დინამიური ასტრონომიის თეორია.
523	მზის სისტემა
524	ვარსკვლავები და ვარსკვლავთა სისტემა. სამყარო




527	საზღვაოსნო და საავიაციო ასტრონომია. ნავიგაცია
528	გეოდეზია. ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური სამუშაოები. აეროკოსმოსური ფოტოგრამმეტრია და გადაღება. დისტანციური ზონდირება. კარტოგრაფია
53	ფიზიკა
530.1	ფიზიკის ძირითადი თეორიები (პრინციპები)
531	ზოგადი მექანიკა. მყარი სხეულების მექანიკა
532	ჰიდრომექანიკა ზოგადად.
533	აირების მექანიკა. აეროდინამიკა. პლაზმური ფიზიკა
534	მექანიკური რხევები. აკუსტიკა
535	ოპტიკა
536	სითბო. თერმოდინამიკა
537	ელექტრობა. მაგნეტიზმი. ელექტრომაგნეტიზმი
538.9	კონდენსირებული მდგომარეობის ფიზიკა (თხევადი და მყარი მდგომარეობა) (მიკროსკოპული აღწერა)
539	მატერიის ფიზიკური ბუნება
539.1	ბირთვული, ატომური მოლეკულური ფიზიკა
539.2	მოლეკულური სისტემის სტრუქტურა და თავისებურებანი
539.3/.6	მასალათა გამძლეობა
54	ქიმია. კრისტალოგრაფია. მინერალოგია.
542	პრაქტიკული ლაბორატორიული ქიმია, პრეპარატორული და ექსპერიმენტული ქიმია
543	ანალიტიკური ქიმია ანალიზური
544	ფიზიკური ქიმია
546	არაორგანული ქიმია
547	ორგანული ქიმია
548	კრისტალოგრაფია
549	მინერალოგია. სპეციალური მინერალთმცოდნეობა
55	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები. გეოლოგია, მეტეოროლოგია და სხვა.
550	დამხმარე გეოლოგიური მეცნიერებანი

550.1	ფიზიოგრაფია
550.2	გეოასტრონომია. კოსმოსსა და დედამიწაზე წარმოშობილი პროცესების კავშირი. კოსმიური ფაქტორები
550.3	გეოფიზიკა. ფიზიკური გავლენები და ზემოქმედებანი
550.4	გეოქიმია
550.7	გეობიოლოგია. ორგანიზმების გეოლოგიური მოქმედებანი.
550.8	გამოყენებითი გეოლოგია და გეოფიზიკა. გეოლოგიური ძიებანი და კვლევების მეთოდები, მათი შედეგების ინტერპრეტაცია
550.9	სხვა საკითხები
551	ზოგადი გეოლოგია. მეტეოროლოგია. კლიმატოლოგია. ისტორიული გეოლოგია. სტრატეგრაფია. პალეოგეოგრაფია
551.1	დედამიწის აგებულება ზოგადად
551.2	შიდა გეოდინამიკა (ენდოგენური პროცესები)
551.3	გარე გეოდინამიკა (ეგზოგენური პროცესები)
551.4	გეომორფოლოგია. დედამიწის ფიზიკური ფორმების სწავლება
551.46	ოკეანოლოგია (ოკეანოგრაფია). ზღვის ფსკერის რელიეფი.
551.5	მეტეოროლოგია. კლიმატოლოგია.
551.7	ისტორიული გეოლოგია. სტრატეგრაფია
551.8	პალეოგეოგრაფია
552	პეტროგრაფია. პეტროლოგია
553	ეკონომიკური გეოლოგია. წიაღისეული საბადოები.
553.2	მინერალების წარმოქმნა. მადანთწარმოქმნა.
553.3/.4	ლითონის (ლითონმატარებელი) საბადოები
553.5	ბუნებრივი ქვების საბადოები (სამშენებლო, დეკორატიული მიზნებისათვის)
553.6	არალითონური სასარგებლო წიაღისეული საბადოები
553.7	მინერალური წყაროები
553.8	ძვირფასი, ნახევრადძვირფასი და სანაკეთო ქვების საბადოები
553.9	ნახშირბადოვანი ქანებისა და ნახშირბადების საბადოები
556	ჰიდროსფერო. წყალი ზოგადად. ზოგადი ჰიდროლოგია
56	პალეონტოლოგია




57	ბიოლოგიური მეცნიერებანი ზოგადად
572	ანთროპოლოგია
573	ზოგადი და თეორიული ბიოლოგია
574	ზოგადი ეკოლოგია და ბიომრავალფეროვნება. ბიოცენოლოგია. ჰიდრობიოლოგია. ბიოგეოგრაფია
575	იმუნოგენეტიკა. ევოლუციური სწავლება. ფილოგენები. სახეობათა წარმოქმნა
576	უჯრედისა და სუბუჯრედოვანი ნაწილაკების ბიოლოგია. ციტოლოგია
576.8	პარაზიტოლოგია
577	სიცოცხლის მატერიალური საფუძვლები. ბიოქიმია. მოლეკულური ბიოლოგია. ბიოფიზიკა
578	ვირუსოლოგია
578.5	ვირუსული გენეტიკა. ვირუსული ცვლილება. მუტაცია
579	მიკრობიოლოგია
579.2	ზოგადი მიკრობიოლოგია. მიკროორგანიზმების ფიზიოლოგია. მიკრობული მორფოლოგია, ციტოლოგია, გენეტიკა. ბაქტერიული ცვლილებები. მიკრობული მუტაცია. სიმბიოზი
58	ბოტანიკა
59	ზოოლოგია
597.2/5	თევზები. იქტიოლოგია)
6	გამოყენებითი მეცნიერებანი. ჯანმრთელობა. ტექნოლოგია
60	გამოყენებითი მეცნიერებანი. ზოგადი საკითხები
61	მედიცინა. ჯანმრთელობის დაცვა.
611	ანატომია. შედარებითი ანატომია
611.018	ჰისტოლოგია. ჰისტოგენები. სწავლება ქსოვილების შესახებ
611.1	გულ-სისხლძარღვთა სისტემა
611.2	სასუნთქი სისტემა
611.3	საჭმლის მომნელებელი სისტემა
611.4	სისხლწარმომქმნელი ორგანოები. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები. ენდოკრინული ორგანოები. ლიმფური სისტემა



611.6	შარდ-სასქესო სისტემა
611.7	საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა. ჩონჩხი. კუნთოვანი სისტემა. ზოგადი საფარვლები. კანი.
611.8	ნერვული სისტემა. გრძნობის ორგანოები
611.9	სხეულის ზოგადი აღწერა. სხეულის ნაწილები. ტოპოგრაფია. სხეულის არეები
612	ფიზიოლოგია. ადამიანისა და შედარებითი ფიზიოლოგია
613	ჰიგიენა ზოგადად. პირადი ჯანმრთელობა და ჰიგიენა
613.1	სამედიცინო კლიმატოლოგია და მეტეოროლოგია
613.2	დიეტოლოგია. კვების ჰიგიენა
613.3	სასმელები. სამკურნალო წყლები. სასმელების ჰიგიენა. სმის რეჟიმი.
613.4	სხეულისა და ტანსაცმლის ჰიგიენა
613.5	საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ნაგებობების ჰიგიენა
613.6	პროფესიული მავნეობა. შრომის ჰიგიენა და პროფ-დაავადებების პროფილაქტიკა
613.62	პროფესიული დაავადებები. ზოგადი საკითხები
613.63	შეხება მავნე ნივთიერებებთან
613.633	მტვრიან გარემოსთან კონტაქტი
613.7	არასამუშაო დროის ჰიგიენა. დასვენებისა და ძილის ჰიგიენა.
613.8	ნერვული სისტემის ჰიგიენა. ჰიგიენა და ეთიკა
613.9	ასაკისა და სქესის ჰიგიენა. ევგენიკა.
614	სოციალური ჰიგიენა და ჯანდაცვის ორგანიზაცია. სანიტარია. თავდაცვა უბედური შემთხვევისაგან და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვა
614.3	სანიტარული ზედამხედველობა ზოგადად. საკვებისა და სამკურნალო საშუალებების (ნივთიერებების) ზედამხედველობა
614.4	ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებები. სანიტარული ინსპექცია
614.6	დაკრძალვის ჰიგიენა



614.7	ნიადაგის, წყლისა და ჰაერის სანიტარული ჰიგიენა (კომუნალური ჰიგიენა და სანიტარია)
614.8	უბედური შემთხვევები, მათი მეშვეობით გამოწვეული საფრთხე, მათ წინააღმდეგ ბრძოლა და პროფილაქტიკა.
614.84	სახანძრო დაცვა. ხანძრით გამოწვეული საფრთხე. ხანძრები.
614.9	ზოოჰიგიენა. ვეტერინარული ჰიგიენა.
615	წამალთმცოდნეობა. ფარმაკოლოგია. ზოგადი თერაპია. ტოქსიკოლოგია
615.099	მოწამვლა. ტოქსიკოქიმია. სპეციალური ტოქსიკომანია
615.1	ფარმაცია
615.2	სამკურნალო საშუალებები მათი ძირითადი მოქმედებების მიხედვით
615.3	სამკურნალო საშუალებები მათი წარმოშობის მიხედვით
615.4	სამკურნალო საშუალებების ფორმები. სამედიცინო მოწყობილობები და მასალები.
615.8	ფიზიოთერაპია. მექანიკურად მოქმედი თერაპიული საშუალებები. რადიოთერაპია და სხვა (არასამედიცინო) თერაპიული საშუალებები.
615.82	მასაჟი. მექანოთერაპია
615.83	ფიზიოთერაპია (ბუნებრივი ფაქტორებით მკურნალობა).
615.84	ელექტროთერაპია. ელექტრომედიცინა. რადიოთერაპია.
615.874	სამკურნალო დიეტა. თავშეკავება, ზომიერება კვებისას, როგორც სამკურნალო ფაქტორი. დიეტოთერაპია.
615.89	ხალხური მედიცინა. მკურნალობა შინაური საშუალებებით.
615.9	ტოქსიკოლოგია. შხამიანი ნივთიერებების შესწავლა. მოწამვლა.
616	პათოლოგია. კლინიკური მედიცინა.
616.1	გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და სისხლის დაავადებები ზოგადად
616.2	სასუნთქი სისტემის დაავადებები. ოთოლოგია.
616.3	საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებანი.
616.3.1	სტომატოლოგია. კბილებისა და პირის ღრუს დაავადებანი.



616.4	სისხლძარღვთა სისტემისა და შიგა სეკრეციის ჯირკვლების დაავადებები. ენდოკრინოლოგიური დაავადებანი. ლიმფური სისტემის დაავადებანი
616.5	დერმატოლოგია. კანის დაავადებანი
616.6	შარდ-სასქესო სისტემის დაავადებანი
616.7	საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებანი
616.8	ნევროპათოლოგია. ნევროლოგია.
616.89	ფსიქიატრია. პათოლოგიური ფსიქოლოგია. ფსიქიკური (სულიერი) დაავადებანი
616.89-008.434	მეტყველების მოშლილობა
616.9	ინფექციური (გადამდები) დაავადებანი
617	ქირურგია. ორთოპედია. ოფთალმოლოგია
617.3	ორთოპედია
617.5	ტოპოგრაფიული ქირურგია. სხეულის ცალკეული ნაწილების დაავადებები და დაზიანებები
617.7	ოფთალმოლოგია. თვალის დაავადებანი და ტრავმები
618	გინეკოლოგია. ქალური დაავადებანი. მეანობა
619	შედარებითი პათოლოგია. ვეტერინარია.
62	საინჟინრო საქმე. ტექნიკა ზოგადად
620	მასალათა გამოცდა. საქონელმცოდნეობა. ენერგოსადგურები. ზოგადი ენერგეტიკა
620.1	მასალათა გამოცდა. მასალების დეფექტები. მასალათა დაცვა.
621	ზოგადი მანქანათმშენებლობა. ბირთვული ტექნიკა. ელექტროტექნიკა. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია
621.0	მანქანათმშენებლობის თეორია (მანქანათმშენებლობა). ბირთვული ტექნიკა
